# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დაბატბით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: [illegible] ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიათი განცხადების [illegible] ჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ, ქნ. მიქელაძის სახლეზში.**

№ 517 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 517


## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ., **ცალკე ნომერი 7 კ.**

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო".

რედაქტორი—ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო".**

# 1916 წლის

# მეორე სამხედრო

# სესხი

როდესაც მტერი ჯერ კიდევ განდევნილი არ არის ჩვენი მიწა-წყლიდან და ჩვენი ძმები კი ჩვენი გულისათვის მსხვერპლად სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს, დანაშაულობაა, რომ ფუფუნებისათვის გავფლანგოთ ჩვენი დანაზოგი. დაე, ყოველი თავისუფალი მანეთი შეიწიროს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ, გმირ დამცველთა დასახმარებლად.

## ხელი მოაწერეთ სამხედრო სესხს.

### სესხის პირობები:

სესხის ობლიგაციები გამოცემულია 50, 100, 500, 5000, 10,000 და 25,000 მანეთიანი და 1916 წლის 1 ოქტომბრიდან მოიგებს $5^1/_2$% წლიურად, რომელიც ორ ვადაზე გადაიხდება—1 აპრილსა და 1 ოქტომბერს.

პროცენტების თანხა სამუდამოდ თავისუფლდება იმ გადასახადებისაგან, რომელიც კაპიტალის შემოსავალზეა დაწესებული.

ყველა ობლიგაცია გამოისყიდება 1926 წლის 1 ოქტომბერს. ამ დრომდე სესხის განაღდებას არ შეუდგებიან.

დროებით კუპონების და გამოსყიდულ ობლიგაციების განაღდება მოხდება სახელმწიფო ბანკსა, ხაზინებსა და შემნახველ კასებში.

ობლიგაციები სესხისა მიიღება სახაზინო „პოდრიადების" და სამუშაოების საწინდრად, აგრეთვე სააქციზო და საბაჟო განაწილებულ გადასახადად იმ ფასად, რომელსაც ფინანს. მინისტრი დააწესებს.

### დრო და ადგილი ხელის მოწერისა.

ხელის მოწერა იწყება 1 ნოემბერს.

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში, კერძო საკომერციო ბანკებში, საზინებში (მუდმივში), ქალაქის საზოგადო ბანკებში, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებში, ქალაქის და იმ საერობო თვითმართველობა-გამგეობაში ან კანტორებში, რომელთა შესახებ ადგილობრივ იქნება გამოცხადებული. | **ამა წლის** 30 **დეკემბრამდე.** |
| სახელმწიფო შემნახველ კასებში, წვრილი კრედიტის დაწესებულებებში, სავველე ხაზინებში. | 1917 **წლის** 31 **იანვრამდე.** |

### ხელის მოწერის წესი.

ობლიგაციის ფასია 95% ნომინალურ ღირებულებისა, რომელსაც მიმდინარე პროცენტები მიემატება, 1916 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული.

ვისაც ჰსურს გადაიხადოს ფასი მთელი იმ ობლიგაციებისა, რომელზედაც ხელი მოაწერა, ფულს გადაიხდის ხელის მოწერის დღესვე.

იმ პირებს, რომელნიც სესხზე ხელს მოაწერენ სახელმწიფო ბანკში, კერძო საკომერციო და ქალაქის საზოგადო ბანკებში 500 მანეთზე მეტს, ხოლო ხაზინებში, შემნახველ კასებში, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასა და წვრილ საკრედიტო საზოგადოებაში 200 მანეთზე მეტს—ამ პირებს შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ: ნახევარი ხელის მოწერის დღესა და ნახევარიც არა უგვიანეს 1917 წლის 31 იანვრისა.

### შეღავათები ხელის მომწერლებისთვის და სესხის გაცემა.

სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში, აგრეთვე ხაზინებში, სადაც სწარმოებს სესხის დაგირავება, შეიძლება გაეხსნათ შეღავათიანი კრედიტი 1918 წლის 1 იანვრამდე იმ სახელმწიფო სესხის ობლიგაციების დასაგირავებლად, რომელნიც გამოცემულია ომის დასაწყისიდან აქამდე. ოღონდ ეს კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ხელის მოწერის ჯამს.

ობლიგაციების დაგირავება შეიძლება როგორც ხელის მოწერის დღეს, ისე შემდეგაც სახელმწიფო ბანკებსა და ხაზინებში, სადაც სესხის ოპერაცია სწარმოებს $5^1/_2$% წლიურად 1918 წლის 1 იანვრამდე. სესხის რაოდენობა ხელის მოწერის დროს დაწესებულია 88% ნომინალურ ფასისა.

### შეღავათები ობლიგაციების შენახვისათვის.

ობლიგაციების პატრონებს შეუძლიანთ გადასცენ ის უფასოდ შესანახად სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს, ხაზინებს და შემნახველ კასებს, ოღონდ დაწესებული საგერბო გადასახადი უნდა გადაიხადონ. ის პირები, რომელთაც შემნახველ კასებში ფული აქვთ, ამ კასებში ობლიგაციების შეძენის დროს არ იხდიან საგერბო გადასახადს, თუ მათ ფასს შესანახ წიგნაკში გადიწერენ.

# სახალხო წარმოდგენები.

**ქალაქის თეატრი.** წარმ. № 31—32

ორშაბათი, 26 დეკემბერი, 1916 წ.

## არსენა

3 მოქ. ალ. ყაზბეგისა.

სამშაბათი, 27 დეკემბერი

## სამშობლო

ისტ. დრ. 6 მ. ერისთავისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ. ჩხეიძე ან., ბ-ნი ბეგლარიძე ბ., გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი — ადგილების ფასი დაკლებულია

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 დეკემბრიდან

გერმანელების ლაზღანდარობა პოჩაევის ლავრაში

მე-4 სერია.

## ღამურა სიკვდილის ძაფებისა

ფეიდის და მერსის რომანიდან სამ ნაწილად, საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ოცნებავ, ოცნებავ სად არის შენი სიტკბო?!**

ვოდევილი 2 ნაწილად პრენსის მონაწილეობით ორ როლში, ქმრისა და დის.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 26 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.

დაგვიანებული შემოდგომის მჭკნარი ყვავილები

მხატვრული დრამა 5 ნაწილად გამოჩენილ მსახიობ ქალების მონაწილეობით

---

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 დეკემბრიდან.

გერმანელების ლაზღანდარობა პოჩაევის ლავრაში

მე-4 სერია

## ღამურა სიკვდილის ძაფებისა

ფეიდის და მერსის რომანიდან სამ ნაწილად, საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით.

**ოცნებავ, ოცნებავ სად არის შენი სიტკბო?!**

ვოდევილი 2 ნაწილად პრენსის მონაწილეობით ორ როლში, ქმრისა და დის.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 26 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.

ცხოვრების ჭადრაკი

განსაკუთრებული საყურადღებო სიუჟეტის დრამა 4 ნაწილად, ხოლოდნაიასი, წერეთლისა დემზინსკისა და პერესტიანის მონაწილეობით.

---

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უფლებაში მყოფი

## კომერციულ ცოდნათა კურსები

## ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თფილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).

**თხოვნის მიღება:** 4—5 საათ საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

---

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

## ქართული კედლის კალენდარი

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში

ფასი 4 აბაზი.

---

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გალიციაში რამდენიმე ადგილში მცირე ბრძოლა მოხდა.

**კავკასიის ასპარეზი.** უამინდობა და ყინვა მოქმედებას აფერხებს. რუსებმა აიღეს ქ. საკკიზი.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. ბოტაშუს ნაპირზე რუმინელებმა ბრძოლის პირი გაარღვიეს და მტერი დიდად დაზარალეს. მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე ავსტრიელებს იერიშები მოაქვთ. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

# მსოფლიო ომი.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

23 დეკემბერი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიდან.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბრეზეანის სამხრეთ აღმოსავლეთით წინ წაწეულ ჩვენს სანგრებზე 200 ავსტრიელი იერიშით წამოვიდა, მაგრამ სროლით თხრილებშივე მივაბრუნეთ. სტანისლავის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს, მტრის სადარაჯოს დაეცნენ. ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს. გამობრუნების დროს ზურგის მხრიდან ავსტრიელებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ სროლითვე იფრინეს და მშვიდობიანად დაბრუნდნენ ჩვენს სანგრებში. მოპირდაპირემ ღამე სცადა მდ. ბისტრიცის გამოღმა გამოსვლა გალიჩის სამხრეთით, მაგრამ, ვერ მოახერხა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

მდ. ბოტაშუს სამხრეთით მდებარე მაღლობზე, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა მედგარი წინააღმდეგობის მერე მტრის ჯარი გაარღვია და ხელთ იგდო 600 ტყვე, 6 ზარბაზანი, 16 ტყვიისმტყორცნელები. მდ. ტატროშის ველში, ბურსტურგასულის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ ექვსჯერ მედგრად შემოგვიტია, მაგრამ დიდად დაზარალებული უკანვე გავაბრუნეთ. ფოქშანიდან დუნაიამდე მთელი ბრძოლის ხაზზე სროლაა. დობრუჯაში ღამე ერთბაში იერიშით ბულგარელთა სადარაჯო გავანადგურეთ. დილით მოპირდაპირემ მაჩინის მიდამოებში შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. დილით მტერმა იერიშები განაახლა და ჩვენს ჯარს ბრაილოვისაკენ დაახევინა. ბრაილოვის აღმსავლეთით 15 ვერსზე, ვოკერნის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.**

მთელი ბრძოლის ხაზზე თოვლის ნამქერებია; ყინვა 18 გრადუსამდე აღწევს. თოვლი კაცის სიმაღლეს სცილდება, გზები და მიწურები თოვლითაა დაფარული, ბილიკების წმენდას ვერ ასდიან. სპარსეთში ჩვენმა ცხენოსანმა მზვერავთა რაზმმა მტრის მოწინავე რაზმები უკუაგდო და საკიზი აიღო. მისმა მცხოვრებლებმა თეთრი ბაირაღი აფრიალეს.

22 დეკემბერი

**ქრისტიანია** ინგლისის მისიამ ნორვეგიას აცნობა, რომ ქვანახშირს მხოლოდ ხეტყის მზიდველ გემებისათვის დაგითმობთო.

**იასი.** დიდი მთავარი ვრიორი მიხეილის ძე რუმინეთში მოვიდა.

**ჟენევა.** შვეიცარიის ახალმა პრეზიდენტმა შულტხესმა „ლოკალანცეიგერ“-ის თანამშრომელს განუცხადა: შვეიცარიას პსურს ალებ-მიცემობა ორივე მებრძოლ სახელმწიფოებთან აწარმოვოს, მტკიცე ნეიტრალობა დაიცვას და თავისი დამოუკიდებლობა შეენარჩუნოსო. თუ რომელიმე სახელმწიფო შვეიცარიის საზღვრების გადალახავს მოინდომებს, თავგამოდებით წინააღმდეგობას გაუწევთო.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებენ: გერმანულ გაზეთების აზრით მოკავშირეთა პასუხი მეტად მკაცრია. ზოგი გაზეთის აზრით ეს პასუხი ხელახალ ომის გამოცხადებას უდრის რაზედაც გერმანეთი მახვილით უპასუხებს. მემარჯვენე გაზეთები მოითხოვენ, ომი მედგარის დაუნდობლობით გაგრძელდეს.

**ქრისტიანია.** 18 ქრისტეშობისთვეს ინგლისიდან ნორვეგიაში ქვანახშირის გზავნა შესწყვიტეს. ნორვეგია მხოლოდ ინგლისის ქვანახშირით სარგებლობდა.

23 დეკემბერი.

**რომი.** სტეფანის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, 18 ქრისტეშობისთვის თარიღით: მას მერე რაც საფრანგეთმა, ინგლისმა და რუსეთმა მოთხოვნილება წარუდგინეს საბერძნეთის მთავრობას, იტალიის მთავრობამაც ასეთი ნოტა გადასცა: გავეცანით მოკავშირეთა ნოტას და საბერძნეთის მთავრობას ვუცხადებთ: იტალიის მთავრობა უერთდება ყველა მათს მოთხოვნილებას, უერთდება, გარდა მეოთხე მუხლისა, რომელიც საბერძნეთის შინაურ ცხოვრებას ეხება. იტალიის მთავრობის აზრით მას უფლება არა აქვს საბერძნეთის შინაურ საქმეში ჩაერიოს და სრულიად არ არის დაინტერესებული ამ (მეოთხე) მუხლის განხილვაში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ათინიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები იმას ჰმოწმობენ, რომ მეფე კონსტანტინე მეტად უკმეხად ექცევა მოკავშირეთ. ზოგი ავტორიტეტიანი დიპლომატი ამბობს, რომ საბერძნეთს მალე ომს გამოუცხადებენ მოკავშირეებიო.

— მოკავშირეთა მთავრობებმა საბერძნეთთან მოლაპარაკება უსარგებლოდ სცნეს და ამიტომ ყველა დესპანები გამოიწვიეს.

— საბერძნეთში ბრძოლის სულისკვეთება გამეფდა. პრესა და საზოგადოება მოითხოვს წინააღმდეგობა გაუწიოს მთავრობამ მოკავშირეთა რეპრესიულ ზომებს. ვენიზელოსის მომხრე და დამოუკიდებელ გაზეთების რედაქცია ხალხს ერთიანად დაუნგრევია. ჯერ ჯერობით ხალხი კიდევ ითმენს მოკავშირეთა მიერ შექმნილ რეჟიმს. რადგანაც ხალხის ბედი მოკავშირეთა ხელშია და, თუ უკანასკნელთ პური აღარ შეუშვეს საბერძნეთში, ხალხი შიმშილით დაიხოცება.

— **ზავის გარშემო.** სპარსეთის მთავრობა დიდ ფაცა ფუცშია. მასაც სურს არ ჩამორჩეს სხვა ნეიტრალ სახელმწიფოებს და მათსავით აპირობს საზავო ნოტით მიმართოს მებრძოლ სახელმწიფოებს.

— სკანდინავიის სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ უეჭველად მოიწვიონ საზავო კონფერენცია.

— რომის პაპს უარუყვია ის ხმები, ვითომც იგი გერმანეთის საზავო წინადადებას მიმხრობოდეს.

— გერმანულ გაზეთების ცნობით სკანდინავიის ერთერთ სახელმწიფოში ნეიტრალ სახელმწიფოებისა და მოკავშირეთა წარმომადგენლებს ერთად უთათბირნიათ ზავის შესახებ.

— ნეიტრალ ქვეყნების გაზეთებს ვენიდან ატყობინებენ, რომ იანვარში ცენტრალ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ყრილობა მოხდება ზავის პირობების დასამუშავებლად. დიდი ანექსიების აზრს გერმანეთი და ბულგარეთი იცავენ.

— **სამხედრო მოქმედება.** ბოლო დროს მდ. დუნაიზე ხშირად დაფრინავენ ცეპელინები და განსაკუთრებით მალი მალ ევლინებიან გალაცა-ბრაილოვს. მაგალითად ერთი დღის განმავლობაში ცეპელინმა 13 ყუმბარა ჩამოაგდო.

— ფრანგული გაზეთების მოწმობით ომის განმავლობაში ავსტრიამ 16 წყალქვეშა დაჰკარგა.

— პოლესიეში, მიუხედავად იმისა, რომ ეს რამდენიმე ხანია თოვლი მოდის და ქარ-ბუქი ასტყდა,—გერმანელები სროლას არ სწყვეტენ. პინსკის ახლო მახლო ხშირად სწარმოებს საარტილერიო ბრძოლა, რომელშიაც ტყვიის მფრქვეველები იღებენ მონაწილეობას.

— „ბერლინგსკე ტიდენდეს“ პოლანდიიდან ატყობინებენ, რომ ბელგიის 1 ჰასსელტში დახვრეტილა 80 ბელგიელი. საქმე მათ ბრალდებათ ჯაშუშობა. მათგან 10 მამაკაცი, 16 ყმაწვილი და 1 დედაკაცი დაუხვრეტნიათ დანარჩენებისათვის ციხე მიუსჯიათ.

— ამერიკის ბევრ ქარხნებსა და რკინის გზის ამხანაგობებს განსაცვიფრებელი დიდი მოგება უნახავთ უკანასკნელ წლის განმავლობაში.

— გენ ჰინდენბურგს ერთ ჟურნალისტთან საუბრის დროს უთქვამს, ტყუილია ფიქრი იარაღის საერთო აყრის შესახებ. შეუძლებელია, რომ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა სათანადოთ გადასწყვიტოს დავა რომელიმე ორ სახელმწიფოთა შორისო.

— **რუმინეთი.** ვიზირუდან გამოქცეული ლტოლვილნი ამბობენ, რომ კრაიოვას მიდამოებში გერმანელებს რამდენიმე მემამულე დაუტუსაღებიათ და სამხედრო სამართალში მიუციათ იმისათვის, რომ მათ ხორბლეულება დაჰმალეს.

— რუმინელებს კრაიოვიდან წასვლის დროს მრავალი ნავთის ჭა გაუნადგურებიათ. 16000 ტონნი ბენზინი ერთ დღეს გაუფუჭებიათ.

— როგორც იყო ქ. იასსში რუმინეთის პარლამენტის პირველი სხდომა შესდგა პარლამენტმა დააკანონა 700000 მანეთის სესხი, რომლის ნახევარიც ომში დახოცილთა და დაავადებულთა ოჯახებისათვის უნდა გადაიდოს.

— დაპყრობილ რუმინეთში გერმანელებმა უკვე შეიტანეს თავისი წეს-რიგი. ვალახეთში ეხლა ყველაფერს გერმანული დაღი აზის გერმანული გაზეთები მრავლად მოდის ბუქარესტში და სხვა ქალაქებში.

# სამობოდ.

დღეს ქრისტეს შობას შევხარით. გულში სასოება ილვიძებს. გვწამს, რომ ოდესმე დიდი მოძღვრის მცნება გაიმარჯვებს და ბოროტებას დასთრგუნავს.

მაგრამ ნუ თუ იმ სისხლის წვიმების შემდეგ, რომელთა მოწმეცა ვართ, კიდევ შეიძლება გვქონდეს ამგვარი იმედებიო? შეიძლება იკითხონ. ვფიქრობ, რომ ჩვენი რწმენა უსაფუძვლო არ არის. მართალია, ისტორიას არ ახსოვს დრო, მარტო რომ ამდენი ხალხი და სიმდიდრე შეეწიროს. მაგრამ იმავე დროს, დღევანდელი ომი ძველთაგან მით განსხვავდება, რომ მოპირდაპირენი თავ-თავის საქმიანს საერთაშორისო, ზნეობრივი მოსაზრებებით ამართლებენ თვითეული მხარე ამბობს: მე მხოლოდ თავს ვიგიერიებ და იმავე დროს დაჩაგრული ერების ინტერესებს ვიცავო. მაგალითად, რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი აცხადებენ: პოლონეთის დამოუკიდებლობა გერმანიის ზედამხედველობის ქვეშ ქვიშაზე აგებული იქნება და მთლიანისა და თავისუფალი პოლონეთის აღდგენას ვცდილობთო.

და, საზოგადოდ, საერთაშორისო უფლებისა და ძმობის იდეამ ამ ომის დროს ძლიერ გაიკაფა გზა შესაძლებელია, რომ ახლანდელი ომი უკანასკნელია. ამ შემთხვევაში საერთაშორისო უფლება თანდათან უფროდაუფრო განმტკიცდება საერთაშორისო სასწორს ხმალი კი არა, სამართალი გაასწორებს. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ საერთაშორისო მოლაპარაკების შემდეგ სახელმწიფოებმა იარაღი აიყარეს და მთელი თავისი ძალი — კულტურისა და განათლების განვითარებას მოახმარეს. ამ პირობათა შორის, ცხადია, დემოკრატიულ-პროგრესიული პრინციპები ცხოვრებაში სავსებით განხორციელდებიან, ქვეყანას ძმობისა და ერთობის იდეა მოეფინება, საერთაშორისო სამართალი განმტკიცდება და თვითეული ერის სამართლიანი საჭიროება-მოთხოვნილება კმაყოფილი იქნება.

მეორე მხრით, წარმოვიდგინოთ, რომ კვლავ იქნება ომი, სისხლის-ღვრა. ამ შემთხვევაშიაც კი სამართალი გაიმარჯვებს, რადგან, ვინც ქვეყნის ჩაყლაპვას მოისურვებს, ქვეყანა მის წინააღმდეგ ამხედრდება.

ამიტომ მწამს მომავალი საერთაშორისო სამართლის, ე. ი. საერთაშორისო ძმობისა, თანასწორობისა და ერთობის, და, მაშასადამე, ქრისტეს მცნების, საბოლოო გამარჯვება.

გულს ნუ გავიტეხთ!

სიმართლე გაიმარჯვებს.

ვასილ წერეთელი.

# დღევანდელი

**ცხრა ნეტარება.**

...და ვითარცა იხილა ტარტაროზმან ერი იგი, აღვიდა კოცონს ტენხლისასა და დაჯდა იგი მუნ და მოუხდეს მას მქადაგებელნი მისნი;

და აღაღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:

1) ნეტარ იყვნენ **მძარცველნი** სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ქვეყნისა.

2) ნეტარ იყვნენ **მშფოთნი**, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაჲ.

3) ნეტარ იყვნენ, რომელთა მოამშიონ და მოაწყურონ ქვეყანა **ჩარჩობითა** თვისითა, რამეთუ იგინი გამდიდრდენ.

4 ნეტარ იყვნენ **მყვლეფელნი**, რამეთუ იგინი განდიდდენ.

5) ნეტარ იყვნენ **ბილწნი** გულითა, რამეთუ მათ ეშმაკი იხილონ.

6) ნეტარ იყვნენ **ბოროტის მყოფელნი**, რამეთუ იგინი ძედ ბელზებელისა იწოდნენ.

7) ნეტარ იყვნენ დაჯილდოვებულნი ჯაშუშობისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ამა ქვეყნისა.

8) ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გადიდებდენ სამშობლოს ღალატისათვის და კ... ქებდენ ორგულობისათვის.

9) გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი ფრიად არს ქვეყანასა ზედ

ი. ც.

# ახალი ამბავი.

თანახმად თბილისის სასამართლო პა... ტის მოწერილობისა საადგილ მამ... ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ... თ დი სოლომონ მიქელაძე სამსახუ... გადაყენებულ იქნა.

✦ ქუთაისის ვექილთა კორპორ... ნაფიც ვექილთა საბჭოს ასარჩევად ... ვეულ თათბირზე წარმომადგენლად ... ჩია ნაფ. ვექილი ევ. პეტრეს ძე ... კორი და ნ. მ. ქიქოძე.

✦ 27 დეკემბერს კლასიკური გი... ის დარბაზში გაიმართება სალიტერ... რო-სამუსიკო საღამო, მშობელთა ... ნივთიერი მდგომარეობის გასაძლი... ლოდ.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლის ... „ვშო ბალის“ გამგე ქ-ნი ქავთარაძისა 2... 28 და 29 დეკემბერს მართავს ბავშ...

# სამოგზაო ჰანგები.

**ნაზარეველო! ნაზარეველო!**

დღეს შობა არის, მაგრამ კვლავ .. ისევ
სჭექს ზარბაზანი! სისხლი იღვრება!...
ნაზარეველო!... ნაზარეველო!
დავიწყებია ხალხს შენი მცნება!
ძმობა, ერთობა და სიყვარული
შენს მორწმუნე ერს არ ეყურება
და დაბრმავებულ-დაყრუებულთა,
თავს დასტეხიათ უბედურება!
ელეტენ ერთმანეთს, ელეტენ ულმერთოდ,
კვნესა და გმინვა სოფელს აზარებს,
და სათელი გახარებული
ჩვენს ბედშავობას თავს დაჰხარხარებს!
ოჰ, მაცხოვარო! შენი მოძღვრება,
რომ მოიფინოს კვლავ ქვეყანაზე,
ნუ თუ ისევე უნდა ეწამო,
და ხელმეორედ გაეკრა ჯვარზე?

—:—

**კოლხიდაში.**

ირგვლივ ცრემლის ღვარი,
კვნესა, გლოვა-ზარი.
შორს დაკარგულ შვილთა
მოგონება მწარი...
უიმედოდ ყოფნა
შავ-სიკვდილის კოცნა,
თოფების გრიალი,
ყუმბარების ტყორცნა
სისხლის ზღვაზე ცურვა,
განუყრელი ურვა,
სრულ დაკნინებამდე
თითქოს განგებ შურვა ..
არსით ხსნა-ნუგეში,
ძალა მოუხეში,
გამარჯვებით მსვლელი
ჩემს არე-მარეში. .
მუშათა უბნები,
სასტიკათ ნავნები,
ციხე-სატუსაღო,
ბორკილი-ხუნდები...
ტაძრები ნგრეული,
სახლები ქცეული,
უმანკო მსხვერპლები..
სისხლი დაქცეული..
ხალხი ნაწამები,
დღე განაშავები,
მონის უღლის ზიდვა
უთვალავი წლები...
მოსულთ ბატონობა,
მკვიდრთ უთვისოთ ცნობა;
ამ უსამართლობის
სამართლის ხმობა...

კვნესა, გლოვა-ზარი,
გული ბოლჭით მკვდარი,
ცხარი ცრემლის ფრქვევა.
ყოფნა განამწარი!..

—:—

**შემოდგომაა ტიალი.**

ქარი ჰქრის, ქარი დაღმუის, ზღვა იქოჩრება ძალზედა,
ელვა იკლაკვნის. . გრიალით მეხი ვარდება ცაზედა!...
ტყე გაიძარცვა... ფოთლები მოცვივა დაბალა ბარზედა,
არე გაფითრდა ნაელდი... რისხვა დაატყდა თავზედა!...
ჯანყმა დაფარა კამარა, ღრუბლებმა იწყეს ტრიალი,
ზარი დასძახეს ყორნებმა, მორთეს ფრთა-გაშლით ყიალი,
დაიქცა ტანჯულთ სავანე, კვნესს ხალხი ანაწრიალი,
ველი ქვითინებს გულ-მკვდარი... შემოდგომაა ტიალი!...

**გ. კელაშვილი.**

*
* *

დღეის დღეს იშვა დიდი კაცღმერთი
ჭეშმარიტების მღაღადებელი
ჩაგრულთ ქომაგი, სათნოებისა
და სიყვარულის მქადაგებელი.
დღეის დღეს იშვა, ვინც რომ პირველად
გვასწავლა სიტყვა „ძმობა-ერთობა“,
ვინც მედგრათ დაჰგმო გაუტანლობა
ჩაგვრა, რბევა და მძლავრთ უკმეხობა
დღეს ქრისტეს შობის დღეა დიადი,
გვმართებს ღმერთსკაცის ჩვენც მოგონება.
შევსწყვიტოთ შუღლი მტრობა და შური
და მოვსპოთ ქვყნად კაცთა მონება!

**პ. ოდიშელი.**

წარმოების გამოფენას. გამოფენა შეუძ-[illegible]ა დაათვალიეროს ყველა დაინტერესებულ პირს ნაშვადღევს 2 საათიდან—4 საათამდე.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ ზოგიერთი ვაჭარი, ქალაქის გამგეობისაგან მიღებულ შაქრის განაწილების დროს ბოროტ-მოქმედებას სჩადის, ქალაქის გამგეობის დადგენილებით თითო პირს შაქარი უნდა მიეცეს არა უმეტეს 3 გირვანქისა, მაგრამ მრავალი არის ისეთი პირი, რომელსაც ბარათი აქვს აღებული მაგრამ რამდენიც ბარათში უწერია იმდენ შაქარს ხელ-მოკლეობის გამო ვერ ყიდულობს, აი ასეთ პირებს უწერენ ვაჭრები, თითქოს მან შაქარი რაც ერგება იმდენი მიიღო, და დანარჩენს კი თავისთვის მალავენ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

✦ საზ. „რეგულიატორის“ გამგეობამ უკვე გაუგზავნა თითო ვაგონი მარილი ლანჩხუთის, სიმონეთის საჩხერის ითხვისის და ტყიბულის კოოპერატივებს. სხვა კოოპერატივებს, რომელთაც მარილი აქვთ დაკვეთილი გაეგზავნება ამ დღეებში.

✦ ჟურნალ.-გაზეთების კონტორა „იმერეთმა“ უკვე მიიღო გასაყიდად კოოპერატიული კალენდარი, გამოცემა საზ. „გაახლებისა“,

✦ უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად მგოსან ვარლამ რუხაძის „ზღაპრები და არაკები“. გამოცემა ტუტკუ გვარამიასი

✦ 9 იანვარს, ქალაქის გამგეობის შენობაში შესდგება საბჭოს სხდომა სხვადასხვა საკითხების განსახილველად.

✦ მთავრობამ ნება დართო ს. ასათიანს და მ. ნაკაჩაძეს, რათა გაახალონ შავი ქვის წარმოება სოფელ რგანში (ქუთაისის მაზრა).

✦ ქალაქის თვითმართველობამ ფოთში შეიძინა 40 ვაგონი პურის ფქვილი. როგორც გადმოგვცეს ფქვილი სხვა და სხვა ხარისხის ყოფილა, როგორც თეთრი—ისე შავი. ფქვილი მიიღება ამ დღეებში.

✦ ქალაქის თვითმართველობა ქ. თბილისიდან ამ ორ დღეში კვლავ მიიღებს 8 ვაგონ შაქარს.

✦ გუშინ ახლო მახლო სოფლებიდან დიდ ძალი აბრეშუმის ძაფი და ნაქსოვი ფუთქი შემოიტანეს ბაზარზე. აბრეშუმის ძაფი კვერცხი (1/8 გირ.) პირველი ხარისხის იყიდებოდა 1 მ. და 10 კ.-დან 1 მ. 30 კ.-დე. მეორე ხარისხის 90 კ.-დან 1-მ.-დე.

✦ სიმამაცისათვის დააჯილდოეს შემდეგი ქართველი ოფიცრები; წმ. ანნას. მესამე ხარისხის ჯვრით: პრაპ. კონსტანტინე სულაქველიძე. წმ. ანნას მეოთხე ხარისხით: პრაპ. შალვა ლანჩავა და გიორგი მიკაშვილი. წმ სტანისლავას მეორე ხარისხის ჯვრით: პოდპ. იოსებ მუსხელიშვილი. წმ. სტანისლავას „მესამე ხარისხით: პრაპ. მიტ. კვანტალიანი, კონსტ. მაჭარაშვილი და ვას. ნასყიდაშვილი.

✦ ქალაქის განაპირა უბნებში თანდათან ვრცელდება ქურდობა. 22 დეკემბერს ჰომაში მცხოვრებ ილ. ჩაჩანიძის ოჯახში შეპარულა რამოდენიმე ქურდბაცაცები და მოუპარავთ შინაური ფრინველები. საჭიროა ბაცა(კ)ების აღვირ-ახსნილობას ყურადღება მიექცეს.

✦ ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირის ადგ განყოფილებამ თითო ვაგონი შაქარი გაუგზავნა, ხონის, გურიის და ლეჩხუმის კოოპერატივებს.

✦ ჯარის კაცი ილარიონ ცომაია სთხოვს იმ ქართველ ოფიცრებს რომლებთანაც თბილისიდან რიონის სადგურამდე ერთათ უმგზავრიათ, დაუბრუნონ მისი კალათი, რომელიც შეცდომით გაჰყოლია ერთ ერთ მათგანს, რადგან ხსენებულ კალათში საჭირო დოკუმენტები ჰქონია. მისა მართი: ფოთი ილარიონ ცომაიას, არგუთინსკის ქ.

## დიპლომატიური მასლაათობა.

„ენა იმიტომ მაქვს, რომ სიმართლე დავმალოო“ სამართლიანად სთქვა ერთმა ფრანგმა დიპლომატმა... თანამედროვე და წარსული ცხოვრება ამის დასამტკიცებელ საბუთს უხვათ იძლევა.. დიპლომატი თავისი მეტყველი ენით არასოდეს მართალს არ იტყვის... მას ყოველთვის რეკლამის შესაქმნელად ტყვილი სჭირია, რაც ცოდვილთა ქვეყანაში უხვად მოიძებნება... თუ გსურს მართალი, მაშინ დიპლომატს უნდა ელაპარაკო არა სიტყვით, არამედ უფლებიან საბუთებით, მაშინ შეიძლება ცოტაოდენ სიმართლეს მიახწიო .. მაგრამ თუ ამ საბუთს თავისი ღირებულება დაკარგული აქვს მაშინ ის უბრალო ქაღალდის ნაგლეჯათ ითვლება და არა ძალათ, რომელსაც ანგარიშს უწევენ...

პრუსია საფრანგეთის ომის დაწყებამდე შორს-მხედველი ბისმარკი დიდ დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში იყო ნაპოლეონ მესამის მინისტრებთან იმის შესახებ რომ კავშირი შეეკრათ ინგლისის მოსასპობათ, მაგრამ მას შემდეგ რაც ომის აუცილებლობამ ამ ორ სახელმწიფოთა შორის ეს კავშირი გააქარწლა, უეჭველია რომ ამ დიპლომატიურ მიწერ-მოწერამაც დაკარგა ყოველივე მნიშვნელობა და ბისმარკმაც არ დააგვიანა მათი საქვეყნოდ გამომჟღავნება, რამაც პოლიტიკურ სფეროში ერთგვარი ცვლილება მოახდინა და რამოდენიმედ ხელი შეუწყო იმ მოვლენას, რომ ინგლისმა 1870 წლის ომში ნეიტრალიტეტი დაიცვა და თავისი სიჩუმით ხელი შეუწყო თავისი მომავალი მტრის გაძლიერებას.

განა გერმანეთი თავისი შეხედულობით მართალი არ იყო, რომ თავისი ხელით მოწერილი ბელგეთის ნეიტრალიტეტი ქაღალდის ნაგლეჯათ გამოაცხადა და თვითონ შეურაცყო ის რაც მას უნდა დაეცვა სხვის მიერ შეურაც-ყოფისაგან..

ამ ომის განმავლობაში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ ვინ გამოიწვია ომი და ვის მიუძღვის ბრალი კაცობრიობის წინაშე... მართალს არვინ არ იტყვის... და ამიტომ სიმართლის გაგება ერთობ ძნელია.

შეთანხმების სახელმწიფონი თავიანთ თავს გერმანეთის მსხვერპლათ სთვლიან... ჩვენ არ ვიცოდით, გერმანეთი ბარბაროსულათ თავს დაგვეცა და ზურგიდან ჩაგვკრა ხმალიო..

გავარჩიოთ შეძლების დაგვარად და დავინახოთ სიმართლე..

ჩვენ ვიცით, რომ ევროპაში ომის დაწყებამდე არსებობდა შეიარაღებულ სახელმწიფოთა ორი კოალიცია—სამთა კავშირი, რომელსაც სათავეში გერმანეთი ედგა და სამთა შეთანხმება, რომელსაც სათავეში ფაქტიურად ინგლისი ედგა... პირველი ისეთნაირივე მსხვერპლია მეორისა, როგორც მეორე პირველსა...

სახელმწიფოთა კავშირები მიტომ არსებობდებიან, რომ მომავალში ომს ელიან... იქ, სადაც ომის ნიადაგი არ არის, კავშირები არ არსებობენ.. ამის მაგალითს თუნდ ამერიკაც იძლევა... სასაცილო არის თავის იმით გამართლება, რომ ამ [illegible]დით... ომს ყოველთვის [illegible] რალო გარემოებაც ამ მომავალი ომის მოახლოვებას მოასწავებდა..

ომს ელოდენ არამც თუ 1914 წ. არამედ გაცილებით უფრო ადრე... 1909 წლიდან 1914 წ. წლამდე ყოველ დღე იყო ნიადაგი ომის ატეხისა და მის ატეხას ყველა ელოდა.

ინგლისს თავისი თავი ამ ომში იმით მოაქვს, რომ ქვეყნიერებაზე ძმობა—ერთობას ვამყარებდი,

მაგრამ დავანებოთ ამას თავი... ყველასთვის ცხადია, რომ დიპლომატიურათაც ორჯელ ორი ოთხი უნდა იყოს და არა სამი და ხუთი, როგორც მრავალს გონიათ... დავიწყოთ თუ ვინ გამოიწვია ომი... აქ ყველაფერი აშკარაა!.. გერმანეთის ეკონომიურმა ზრდამ ომი აუცილებელი გახადა და მისი თავიდან აშორება შეუძლებელი იყო... განა არ გახსოვთ ნახევრათ ოფიციალის „რანნე უტროს“ გამოძახილი, რომ რუსეთს ომი არ სურს მაგრამ ომისთვის მზად არისო...

მაშ თუ მზად იყვნენ, უცოდინარობასაც ადგილი არ ექნებოდა. მოულოდნელად თავს დაგვეცაო! ესეც ხომ ერთნაირი სიყალბეა. განა რუსეთმა არ იცოდა, რომ სერბეთის უარყოფითი პასუხი ომს გამოიწვევდა?

ამ ომის განმავლობაში ამ დიპლომატიურმა მასლაათობამ ერთგვარ საზღვარს მიაღწია... წინ წასვლა შეუძლებელია .. საბედისწერო უფრსკულის წინ აღიმართა ბოძი, რომელზედაც აწერია: ან უკან დახევა—ან შეჩერება“... შეჩერება ეს ხომ შეუძლებელია... მოძრავი დიპლომატია დროებით უკან დახევას არჩევს შეჩერებას... ვინაიდან სიცოხლის ნიშნები მოძრაობაში სჩანან...

დიპლომატთა გზა ამ ომის განმავლობაში ბურუსით იყო მოცული... თავიანთი ტრადიციებისთვის მათ ერთს წუთსაც არ უღალატნიათ..

ენა მათ მართლა მიტომ ჰქონდათ, რომ ტყვილი ეთქვათ...

ერთსა და იმავე საკითხს სულ სხვა და სხვანარათ სჭრიდენ.. ავიღეთ თუნდ მთაშავეთის სეპერატიულ ზავზე მოლაპარა-

## მსხვერპლი

(სოფლის ცხოვრებიდან).

— თეკლე ხარ? მობრძანდი, მობრძანდი, შეეგება დიასახლისი მოხუცებულ ქალს ქოხის კარებში.

— აქა მშვიდობა!

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს გამჩენმა —უპასუხა დიასახლისმა და თან სკამი მიაგება. სტუმარი დაჯდა სკამზე, გაისწორა თავსაფარი და შემდეგ იქვე ლოგინზე წამოწოლილ ყმაწვილ კაცს მიჰმართა:

—სხვა, ერმილე, როგორ ხარ, შვილო?!

—ეჰ, რას ვიზამ, დედი, ვარ ცოცხალი, თუ აწი არაფერი მომემატა!

უპასუხა კვნესით ავადმყოფმა.

—რავა შვილო, როგორ გრძნობ თავს?

—არც კარგად, აგერ რაღაი შენი მოცემული წამალი დავლიე, წელის ტკივილმა ლამის სული ამომაძროს!

—მაგითი რა გიჭირს შე კაცო, თუ არც წელი გეტკინა, არც არაფერი, მაშინ იოხერი და დოხტურები იტყვიან კარგად არის და ვიღა გაგათავისუფლებს?

—მართალია, ჩემო თეკლე, მართალი. მაგი იმისთანა საქმეა, რომე ყველაფერი უნდა მეითმინო ადამიანმა! აპა, ისე რავა იქნება?! დააყოლა ავადმყოფის დედამ თეკლეს სიტყვების გასამართლებლად.

—ბეჩა, თუ კი არც ტკივილი გინდა, არც არაფერი, ქე წაგიყვანებენ მაშინ სალდათათ!

—აგრეა, ჩემო თეკლე, აგრე, ნეტაი გამითავისუფლებდენ და ტკივილი ქე უნთა მეითმინოს!

—მაგით არა გიშავს რა შვილო ჩემო; მისთანა წამალი მოგეცი რომე, რომ მეიარო მთელი ქვეყანა, მისთანას ვერას იშოვი. შე კაცო, პირველი წელიწადი ხომ არ არი, მე რო მაგ ხელობას ვეწევი—აგერ ათი წელიწადზე მეტი იქნება, რაც მაგ ხელობით ვირჩენ თავს, და რამდენი კაცი გამითავისუფლებია—ვინ მოთვლის!?

არ ვიცი, ჩემო თეკლე, არ ვიცი? მეც მისთვინ მოგმართე რო განთქმული ადამიანი ხარ, თუარა რა მინდოდა აპა მე შენთან, უპასუხა შვილის ნაცვლად დედამ.

—ეს ასე. ეხლა უკეთესი წამალი მევიტანე, თუნდაც, უნდა გითხრა, ძვირი კი დამიჯდა მაგისი გაკეთება და, რაც შრომა გამივიდა—ის სხვაა, მარა ჩემ შრომას დევიშურეფ, რო ადამიანი გადავარჩინო იმ უბედურებას, რაც იმას მეელის ომში??

—ჰაი, ღმერთმა ნუ მამიშალოს შენი თავი, ღმერთმა; არ ვიცი, რაცხა ოქრო ადამიანი ხარ, მაგაზე რაღა ლაპარაკი გინდა, შე კაი ქალო; და იცოდე, რომე ჩვენგან დაუფასებელი არ იქნება შენი შრომა. ერთი ხარი ქე გავყიდე და მეორესაც გავყიდი ნეტა კი მაგას არავინ წამართმევდეს და ობოლ კერას არავინ გამიცივებდეს, თუარა სხვა ყველაფერი მაგის ჭირის სანაცვლო იყოს!

—რას მეუბნები, ბეჩა, რას მეუბნები. პირველი არი მაგას რო ვარჩენ თუ?

—არა, ჩემო თეკლე. ეგ არი—შენი იმედი მაქ ისე, როგორც ღმერთის!

—ხო, ასე! მე წავალ ახლა და იმ ორშაბათს ქე მოვალ ისევე, მანამდი ეგ წამალი იხმაროს, მაშინ კიდევ სხვა წამალს მოუტან.

—კეთილი. ჩემო თეკლე, კეთილი!

–ხო, ასე, მაგრამ რაღაზე დაგიფარო, ცოტა ფული მესაჭიროება და თუ გექნება რამე და მომცემ, კაი იქნება.

—ახლავე, ჩემო კეთილო, ახლავე. რაც კი გამაჩნია—სულ მოქცემ, უპასუხა დიასახლისმა და გაეშურა სკივრისკენ ფულის ამოსაღებათ. ამოიღო ფული, მიუბრუნდა „სრფლის აქიმს“, ჩაულაგა ხელში ოთხი სამ-სამანეთიანი ქაღალდის ფული და თან დააყოლა:

—ეს ასე და მომავალში, თუ ღმერთმა არ მამიძულა, მე ვიცი შენი პატივის ცემა!

თეკლემ გამოკრა ფულები თავსაფრის ყურში, გამოემშვიდობა დედას და შვილს და გაეშურა ჭიშკრისაკენ.

შობა ღამეა. ირგვლივ მყუდროება მეფობს. სოფელს მკვდრული ძილით ჩასძინებოდა. მხოლოდ სოფლის განაპირა ერთ ქოხში კი არ ეძინათ. გულდათუთქული დედა იჯდა ავადმყოფ შვილის სასთუმალთან და სახე დაღვრემილი, მისცემოდა მწარე ფიქრებს! არც ავადმყოფს ეძინა, თუნდა თვალები დახუჭული ჰქონდა. მისი ჩაცვივნული თვალები და ძალზე ჩამომხმარი გაყვითლებული პირისახე აშკარად ამბობდენ, რო მისი სიცოცხლის წუთები გამოთვლილი იყო, დიახ, გამოთვლილი, მან კი სულ ცხრამეტი წელი იცოცხლა.

— ვიწვი, დედა, წყალი დამალევინე!

— ნუ გეშინია, შვილო, ახლავე, უპასუხა დედამ და პატარა ჭიქით წყალი მიუტანა. ავადმყოფმა დალია ნახევარი და შეჩერდა... დახუჭა თვალები... მიყუჩდა.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე.

გადიოდა დრო დედამ თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან ავადმყოფს ჩაეძინა.

გადიოდა დრო.

— მიშველე, დედა, ვი... წვი... წამოიძახა ავადმყოფმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ზეზე წამოიჭრა.

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, ანუგეშებდა, კისერში ბოლმა მოწოლილი დედა,—ჰა, დალიე წყალი, შვილო!

ავადმყოფმა მოსვა რამოდენიმე ყლაპი მაგრამ წინვე წამოსკდა; ერთიც ამოიოხრა და გადმოხეთქა სისხლმა, პირიდან.

— დე... და... ვკ. . ვდე... ბი... წამოილუღლუღა შვილმა და ძალამილეული დაეცა ლოგინზე

— ღვთის მშობელო ნუ მომიძულებ, ღვთის მშობელო! ევედრებოდა დედა მარიამს გულდამწვარი ყმაწვილი ვაჟის დედა, მაგრამ ამაო იყო დედის ლოცვა,— შვილმა სამუდამოდ განუტევა სული.

კონსტ. წვავლი

კების დაწყების საქმეზე... განა ჩვენ ვიცით ამის შესახებ დანამდვილებითი რამე?!.. უქველია რომ არაფერი.., ეს მგონია არც მათაშავეთის მეფემ ნიკოლოზმა იცის, რომელიც, როგორც ტყვე, ისეთ მიიყვანეს საფრანგეთში, რომ იმის ნებაც არ მიცეს, გზაზე თავისი ქალიშვილი—იტალეთის დედოფალი ენახა!.. მაგრამ ეს ცოტაა!.. საბერძნეთი ხომ უფრო მეტს მასალას იძლევა.. განა თვით ჩვენ ვიცით რამე ამის შესახებ.. არაფერი გარდა იმისა, რომ მეფე კონსტანტინე ძლიერ მოხერხებული კაცია, და რომ ადამიანს ერთხელ სილას გააწნავს, მეორეჯელ სადილზე მიიპატიჟებს და ინციდენტი ამითი ჩაქრება... განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ ინგლისის ელჩს სადილი გაუმართა და მასთან ერთათ ინგლისის და მისი მოკავშირეების სადღეგძელო დალია!..

მასუკან მგონია დიდი ხანი არ არის დათუგინდათ, გაიგოთ, ამ ისტორიულ სადილზე როგორი სიტყვები წარმოსთქვეს მაშინ ნუ დაიზარებ და საგრეო სამინისტროში გაგზავნეთ შეკითხვა და პასუხსაც მალე მიიღებთ.

დღეს დიდი აურ ზაური ასტეხა ზავის წინადადებამ...

შეთანხმების სახელმწიფონი ძლიერ აღელვებულებულნი არიან... მათ არ შეუძლიათ ახლა ზავზე ლაპარაკი, ვინაიდან მტერი დამარცხებული არ არის..

იღწვიან მიტომ რომ მომავალში მათი სახელი ცუდათ არ მოიხსენიონ და ქვა არ ესროლონ და მათი სახელი ცუდათ არ მოიხსენიონ. ქვა არ ესროლონ და მათი ცდა ზოგჯერ არაჩვეულებრივი სურპრიზებით ბოლოვდება, მაგრამ რა ვუყოთ. დღეს ყველაფერი მოსალოდნელია.

მ. საირხელი.

# ქრონიკა.

**თფილისი.** 22 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, სადეპუტატო საკრებულოში დანიშნული იყო თავად აზნაურობის კრება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

— 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე 20 წამზე საკმაოდ საგრძნობი მიწის ძვრა იყო.

— **ბაქო.** 23 დეკემბერს წ. კ. გ. ზ. განყოფილების თაოსნობით აკადემიკოსი მარი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ვეფხვის ტყაოსანი". ფრიად სასურველია, რომ თფილისშიაც გაიმართოს ეს ლექცია.

— **ბათუმი.** წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს თავის საკუთარ შენობას დაადგას მეორე სართული, რომელიც მოწყობილი იქნება საკონცერტო დარბაზად. ბოლო ხანებში აქ ძრიელ გავრცელდა ტიფი, ყვავილი და სხვა გადამდები ავათმყოფობები. საწინააღმდეგოდ მიღებულია ენერგიული ზომები. ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მოელის 30,000 ფუთს თეთრ ფქვილს. ქალაქს ფქვილი საკმარისი აქვს, მაგრამ შავია. იმას საინტენდანტო აძლევს.

— **ქართლი.** სოფელ დოესის მცხოვრებნი სთხოვენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აიღოს ნებართვა და მოაწყოს იქ სამკითხველო. აღნიშნულ საზოგადოებასთან არსებულმა სახალხო კითხვების მომწყობმა სექციამ დაადგინა გაუგზავნოს ნახსენებ სამკითხველოს 30 მანეთის წიგნები.

— **კახეთი.** ზამთარი გვესტუმრა. მცხოვრებნი დიდ გაჭირებას განიცდიან. ჯერ შიმშილისა და მერე უშეშობის გამო. აქაური კოოპერატივი, რაც ღონე და ძალი აქვს, დახმარებას უწევს მცხოვრებლებს.

— დეკემბრის 27 აქ უნდა ჩამოვიდეს გორის მაზრის კრედიტის ინსპექტორი ბ. ა. გრიგოლია, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს აქაურ კრედიტის დაწესებულებისა და შემდეგ გამგეობას. აირჩევენ. ამ ხანად გამგეობაში სულ სომხები არიან. სხვათაშორის უნდა აირჩიონ მამასახლისი. აქამდი მამასახლისებადაც სულ სომხები არიან.

— **სოხუმი** აქეთკენ დიდი წყალდიდობა იყო. მდინარე გუმისტაზე გადებული რკინის ხიდი წყალმა დაანგრია. გაგრასა და სოხუმშუა მიმოსვლა შეწყვეტილია. გაგრა პატარა მდინარემ ჟოეკვარამ დიდად დააზარალა. ფრანგების საზოგადოების საწყობი სხვადასხვა მასალისა წაიღო. დააზიანა სატეხნიკო სახელოსნოები გარაჟები და სხვა მსუბუქი შენობები ზოგი წაიღო, ზოგი დააზიანა წყალმა. ზარალი დიდია.

—**კავკასი.** ომის დაწყებამდინ აუარებელი ხორბლეულობა გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან საზღვარ გარეთ. აქ ხორბალი ყოველთვის მეტი იყო, ვიდრე ბაზარზე მისი მოთხოვნილება. აქაურები ყოველთვის მყიდველს ეძებდენ. დაიწყო ომი და პირობებიც შეიცვალა საზღვარგარეთ ბაზარი დაიხურა. აუარებელი ხორბალი შინ დარჩა. მიუხედავად ამისა შინაურ ბაზარზე ხორბალი მაინც არ არის. ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში საკვირველი არაფერია. ხელოვნურად ბაზრიდან საქონლის გადამალვა და მერე საზღაპროთ მისი ფასის გადიდება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ წესს არც ხორბალი აცდა. სპეკულიანტების ხელი აქაც ამოძრავდა.

# თფილისის ქართულ გაზეთებზე ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებისათვის ახლანდელი უმისოთაც უმგვანო პირობების ხანაში მეტათ სამწუხარო და დამაღონებელ მდგომარეობაში ჩამაგდო ამ წლის მიწურულში თფილისის სამი ქართული გაზეთის: „საქართველო", „სახალხო" და „თან. აზრი-"ს ერთმა, ხელობით მეჩექმე დამტარებელთაგანმა ალექსანდრე ფხაკაძემ. იგი ჩვეულის ავათმყოფობით ორ დღეს ლოგინათ ჩაწვა და როცა ჩემი დაჟინებითი მოკითხვის შემდეგ —მოხვალ თუ არათქო—დაუძლურებული მოვიდა მესამე დღეს, მაინც კიდე აღარ წაიღო გაზეთები დასარიგებლათ და არ ინება მის ახალ თანამშრომელ ქალისათვის ხელის მომწერლების ბინები ეჩვენებინა.

ეს კი მე მისთვის, რაკი ხელის მომწერლები მატულობდა, კაი ხნის საჭიროდ მიმაჩნდა, რადგან ვატყობდი იგი როგორც, ავათმყოფი, ამ საქმეს ვერ ასდიოდა და შორი-შორ ხელის მომწერლებისაგან მრავალი საყვედური მომდიოდა აქ მე და თფილისშიაც რედაქციებს წერილობით და პირადი შეხვედრისას.

მიუხედავად ჩემი და სხვებისაც ხვეწნა-მუდარისა—შეეამხანაგებინა ამ საპასუხისმგებლო, საჩქარო საქმიანობაში ახალი თანაშემწე,—იგი ბუზღუნით და უოვლად უსაბუთოდ გაჯიუტდა და გუშინ დილიდან გაბუტულმა, მიმიტოვა მისთვის კანტორაში დაკეცილ-დამზადებული სამი დღის გაზეთები და ჩემ უკანასკნელ მართლაც გაცხარებულ შეკითხვაზე: „არიგებ თუ არა გაზეთებსთქო", აგერ მივალ და ახლავე მოვალო მითხრა, წავიდა და ეს მეოთხე დღეა ხსენებულ გაზეთებს აღარ არიგებს.

უმორჩილესათ ვსთხოვ პატივცემულ მკითხველებს ზემო დასახელებული გაზეთებისას ჩემს გამოურკვევლად უმთხ დამტარებლის ჩვეულ ინცინდენტს და მას ან სხვას შეურიგდებოდე ამ საქმის სერთოთ უკეთ ხელახლა მოსაწყობათ, კეთილ ინებონ და კანტორაში მოიკითხონ ყოველ დღე გაზეთები, რომლებიც მათთვის აქ ინახება.

კანტორა ამ გაზეთების დარიგებას ამ ხიფათის შემდეგაც მალე მოახერხებდა ახალი დამტარებლის საშუალებით, მაგრამ ამ კულტურულ საქმიანობის გაუგებარმა და შეუჩვეველმა არ ინება: 1 არც ხელის მომწერლების შევსებული სიის დაბრუნება, 2. არც ახალი თანაშემწის სწავლება მათი ბინებისა და 3. არც ოთხი თავის სრული ანგარიშის ჩაბარება შემდეგ თუნდა მიტოვება ნაკისრი საქმისა.

აი ასეთნაირ შემბოჭავ პირობებში მიგვატოვა სამნაირი გაზეთების დარიგება იოლათ ამ საქმის მაყურებერმა დამტარებელმა, მიუხედავათ მრავალი გზით ტკბილი, თუ მაღალი სიტყვით ჩემი და სხვების ხვეწნა-მუდარისა...

ვსთხოვ აგრეთვე ყველა ხელის მომწერლებს თავიანთი სრული სახელი და გვარი, სრულივე მისამართით მათგანვე დაწერილი დაგვიტოვონ კანტორაში ამგვარ უსიამოვნო ხიფათის ასაცილებლათ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა, „იმერეთი"ს მმართველი ისიდორე კვიცარიძე.

# რუსეთი.

თუმცა პროტოპოპოვი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაამტკიცეს, მაგრამ ქალაქდებს წინანდებურად მისი ამხანაგი კუკოლ იასნოპოლსკი აწერს ხელს.

— გაზეთი "რუსკ. ვიდ". დაწვრილებით ჩამოსთვლის იმ პირთა და იმ საქმებს რომლებზედაც რასპუტინი გავლენას ახდენდა. გრაფი ს. იუ. ვიტტე მას ემორჩილებოდა ყველაფერში. დიდი გავლენა ჰქონია რასპუტინს აგრეთვე საბლერზე რასპუტის იყო ყველა თხოვნას უსრულებდა რასპუტინი ასე სწერდა მას თურმე წერილებს მუდამ: „ძვირფასო მეგობარო, მიიღე და მოუსმინე-"ო. სხვათა შორის რასპუტინის სურვილით ეპისკოპოსად უკურთხებიათ ცნობილი ბარნაბი და საქართველოს ექსარხოსი ალექსი დაუნიშნავთ. რასპუტინის მფარველობის წყალობით ცნობილი სპეკულიანტი რუბინშტეინი დაუსჯელი დარჩა, ხოლო შტიურმერზე რასპუტინს განუსაზღვრელი გავლენა ჰქონია.

# უცხოეთი.

ერთი გერმანული გაზეთი ურჩევს თავის მთავრობას შეამციროს სასამართლოებში საჩივრების რიცხვი რათა ვექილებმა უფრო კარგად მოიხადონ საყოველთაო შრომის ბეგარა.

— საფრანგეთის პრეზიდენტს პუანკარეს რუსეთის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარისათვის „საპატიო ლეგიონის" ორდენი უბოძებია.

— ჩეხელები ბოლო დროს დიდ ფაცაფუცში არიან. მათ იმედი აქვთ, რომ ახლო მომავალში ფართე თვითმართველობას მიიღებენ; ჰკითხულობენ ლექციებს და თათბირობენ მთავრობა ჩეხელებს მოფერებით ეპყრობა.

— პოლონეთის სახელმწიფო საბჭოში პოლონელებს სახელმწიფო რეფორმის რამდენიმე პროექტი შეუტანიათ. პოლონელებს სურვილი განუცხადებიათ, რომ პოლონეთის მეფის ტახტზე ვინმე პოლონელ თავადთაგანი ავიდეს.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „სამშობლო".

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. III წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

# ცხოვრებაზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ, რომანოზ სპ ფანცხავას რედაქტორობით, ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე). ჟურნალი ეღირება წლიურათ 6 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Романозу Спиридоновичу Панцхава.



**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

**ექიმი ი. ჩარკვიანი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლვოვშის ქუჩა, ალიპეგოვის სახ.
ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ხ.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი**

აღებენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ. მ." და „სამშ." რედაქცია; ან პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ და საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩიჩინაძის (წულეისკირიძეული)

**იყიდება სახლი და მამული** 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თფილისში მიხეილის ქ. № 135.
ექიმ გ. [illegible]

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ოდესის საებიო კურსებ დამთავრებული ბებია ს. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გეგეჭკორის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული,** მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომირჩინა ბოვში უპერაციოთ.
**ვარლამ ხუჯაძე.**

**საჭიროა ბინა** 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრანომისთვის ღეიდე რთი: აბორინის შესახვევი მთავრობის და ეროვნის აგრანომის კანცელარია.

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გამოჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მოწამლავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუშსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფათშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)